ლელო

27 თებერვალი, შაბათი, 1993 წ.
№ 14 (10 802) ● ფასი 4 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიაში

საერთო პრობლემებს— საერთო ძალისხმევა

საპარლამენტო კომისიებს იმედით შეჰყურებს ხალხი, მაგრამ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ცხადია, იმედს ის ამართლებს და ავტორიტეტსაც იხვეჭს, ვინც შექმნის დიდ ანუ პრაქტიკულ საქმეს მოჰკიდა ხელი. სხვისი რა გითხრათ, სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისია ნამდვილად აქტიურად შეუდგა მუშაობას. ამ დღეებში კი პარლამენტში სპორტის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციებისა და სპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრაც შედგა კომისიის ხელმძღვანელობასთან.

— მივესალმებით ასეთ შეხვედრას, ჩვენ გვინდა საქმიანი ურთიერთობა დარგის მუშაკებთან, რაც ხელს შეგვიწყობს უამრავი საჭირბოროტო საკითხების დაჩქარებით გადაჭრაში — თქვა შესავალ სიტყვაში კომისიის თავმჯდომარემ ბექან ხურციძემ. ეს არ იყო შეხვედრა კონკრეტული დღის წესრიგით, ამჯერად მთავარი გახლდათ ურთიერთგაცნობა, სამომავლო გეგმების დასახვის წადილი, თუმცა თავშეყრა, გულახდილი და უშუალო და, რაც მთავარია, საქმიანი გამოდგა — მთელ 3 საათს გასტანა. შეკრებილთ ჯერ გააცნეს კომისიის დებულება, მერე იქვე გადავიდა საუბარი კანონპროექტების შემუშავების, ორგანიზაციულ საკითხებზე, სპეციალისტების ფართო წარმომადგენლობით მონაწილეობაზე ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაში. ითქვა, რომ რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თაოსნობით სპეციალისტებმა უკვე შეიმუშავეს მთავარი კანონპროექტი, რომელსაც ახლა ფედერაციებში განიხილავენ და 10 მარტამდე წარუდგენენ კომისიას.

პრობლემები, ისე როგორც ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, სპორტში და ფიზიკური კულტურის სფეროში ბოლო წლებში უამრავი დაგროვდა. შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ საბაზრო ეკონომიკამ და უსახსრობამ უმოწყალოდ დარია ხელი და შეაფერხა დარგის განვითარება, ვერ შემუშავდა დამცველი მექანიზმი, ეს შეუძლებელიც იყო. აღინიშნა, რომ დაიწყო სპორტსმენთა და სპეციალისტთა მიგრაცია, როგორც ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისე შიგნით — ერთნი უცხოეთში მიემგზავრებიან, მეორენი პროფესიას იცვლიან, რადგან შრომის დაფასების უპერსპექტივობასთან ერთად, ძალზე დაბალია ანაზღაურება. ახალგაზრდობა ქუჩაში აღმოჩნდა — სპორტულ ბაზებზე არაა წვრთნის ნორმალური პირობები, კომუნალური გადასახადების შეუნელებელმა ზრდამ ბევრი მათგანი გაკოტრებამდე მიიყვანა. რატომ არ შეიძლება რესპუბლიკაში თუნდაც ათიოდე მთავარ სპორტულ ბაზას მივცეთ არსებობის შესაძლებლობა, ვიდრე დაფინანსების საკითხი საბოლოოდ გადაწყდება? ამას მოითხოვს ქართული სპორტის ტრადიციების შენარჩუნების ინტერესები. დაისვა საკითხი სპონსორების გამონახვის თაობაზე. კომისიის წევრმა გურამ გეწაძემ წინადადება წამოაყენა შეიქმნას სპეციალური ფონდი, სადაც თავს მოიყრის ყველა სახსრები. ბექან ხურციძემ კი დასძინა, რომ ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ათლეტიზმის ფედერაციის მიერ შემუშავებულმა „ფედერაციების შესახებ" კანონპროექტმა. მისმა ერთ-ერთმა ავტორმა ზ. ჯაფარიძემ დაიცვა პროექტი, ისიც თქვა, რომ რაკი კანონი არ გაგვაჩნია, ფედერაციებს ეს სახელი „ხუმრობით" თუ ჰქვია, კოოპერატივს ჩამოჰგავს. ფაქტობრივად, გაზაფხულზე წყალზე მოტივტივე ღნობად ყინულს ვგავართ. ნუ ფიქრობთ, რომ ნაღმი შემომაქვს, პირიქით, მე ნაღმის გაუვნებლობას ვცდილობ — თქვა ზ. ჯაფარიძემ.

შეკრებაზე გაისმა სასიამოვნო, მაგრამ ნაღველნარევი ცნობაც, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, შარშან საერთაშორისო ასპარეზობებში მაქსიმალურად მიიღეს მონაწილეობა საქართველოს სპორტსმენებმა, წლეულს კი ეს შესაძლებლობები სახსრების, განსაკუთრებით ვალუტის უქონლობის გამო, მინიმუმამდე შემცირდება.

დაისვა აგრეთვე სხვა პრობლემური საკითხები.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ბექან ხურციძემ.

„დინამო" კვიპროსს გაემგზავრა

გუშინ, 26 თებერვალს, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გაემგზავრა კვიპროსს, სადაც ერთკვირიან მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. დაგეგმილია რამდენიმე ამხანაგური მატჩი, მათ შორის ამ ქვეყნის ჩემპიონთან ნიქოზიის „აპოელთან".

საქართველოს ჩემპიონატის განახლებამდე უმაღლესი ჯგუფის გუნდები საწვრთნელ მატჩებს მართავენ. დიღომში „დინამოს" ბაზაზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „შევარდენი-1906" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

არტემიო ფრანკის თასზე

ამ დღეებში ბუენოს-აირესში, „რივერ-პლეიტის" სტადიონზე, გაიმართა საერთაშორისო ფეხბურთის გამოჩენილი მოღვაწის არტემიო ფრანკის სახელობის თასის მატჩი. ამ პრესტიჟული პრიზისთვის ერთმანეთს ხვდებიან სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ჩემპიონები. ამჯერად ერთმანეთის პირისპირ დადგნენ არგენტინისა და დანიის ნაკრები გუნდები.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. დაინიშნა დამატებითი 30 წუთი, რომლის დროსაც ანგარიში არ შეცვლილა, ხოლო მატჩისშემდგომი 11-მეტრიანებით გაიმარჯვეს არგენტინელებმა — 5:4 და თასიც მათი კუთვნილება გახდა.

გვიან ათამაშდა

დაკვირვებული ჭადრაკის მოყვარული შეამჩნევდა — ნანა იოსელიანი საპასუხისმგებლო ტურნირებს უმეტესად მარცხიანად იწყებს, მერე კი დანაკარგის ასანაზღაურებლად მთელი ძალების მობილიზება უხდება. ასე იყო მონტეკარლოშიც: მსოფლიო ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტს ჟუჟა პოლგარს ფინალური ორთაბრძოლის დასაწყისში დაწინაურების (2:0) საშუალება მისცა და მხოლოდ შემდეგ ათამაშდა — მომდევნო 5 პარტიაში ბრძოლები უმეტესად მისი უპირატესობით წარიმართა, მეექვსე ტურის პარტიის მოგებით კი ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 2,5:3,5. ნანას მეტოქის წამოწევის დიდი შანსი ჰქონდა მეშვიდე პარტიაში, მაგრამ მატერიალური უპირატესობის მოპოვების შანსი გაუშვა ხელიდან. 61-ე სვლაზე გადადებულ პარტიაში იგი უკეთეს პოზიციას ინარჩუნებდა. საბოლოოდ — ყაიმი, სამაგიეროდ, მერვე პარტიაში იოსელიანი თავიდანვე დაეუფლა ინიციატივას, შესაშური მონდომებით თამაშობდა. გადადებულ პარტიაში პოლგარი თამაშის განუახლებლად დანებდა. ანგარიში გათანაბრდა — 4:4. დაინიშნა მიკრო-მატჩი ორი პარტიისაგან შემცირებული რეგლამენტით.

„ბ" ჯგუფი ანუ ეს თავისებური მატჩი

ქალთა ჭადრაკი სულ უფრო პოპულარული ხდება. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ახალ ციკლში მონაწილეობის სურვილი იმდენმა ქვეყანამ გამოთქვა, რომ საერთაშორისო ფედერაციამ ისინი ორ ათეულ ზონად დაჰყო, რათა საზონათშორისო ასპარეზობის მონაწილენი შეერჩიათ. ეს, იმათ გარდა, ვინც ფედერაციამ საზონათშორისოზე მიიწვია, აღარას ვამბობთ მათზე, რომელთაც შემდეგი ეტაპის საგზურები მაშინ მიიღეს, როცა წინა ციკლში „პრესტიჟულ საფეხურამდე" ამაღლდნენ — გამოდიოდნენ ფინალურ ტურნირში.

მოხდა ისე, რომ საქართველო სომხეთთან ერთად მოხვდა მეხუთე ზონის „ბ" ჯგუფში, თურქეთი და საბერძნეთი — ამ ზონის „ა" ჯგუფში. ამ „ა" და „ბ" ჯგუფების ზონალურ ტურნირებზე პირველ ადგილებზე გასულნი საზონათშორისოს საგზურების მფლობელნი იქნებიან, მეორე ადგილებზე გასულნი კი მატჩს გამართავენ მესამე საგზურისთვის.

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდის სასახლეში გრძელდება სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლების ასპარეზობა. პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ დამსახურებული მწვრთნელის გიორგი მაჭარაშვილის აღზრდილები, დიდოსტატი ქეთევან კახიანი და ოსტატობის კანდიდატი მაია ლომინეიშვილი. ამ უკანასკნელმა, რომელსაც, ასე ვთქვათ, ჯიბეში აქვს 16 წლამდე გოგოების წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, მარცხი იწვნია. ტურის სხვა პარტიების შედეგები: ნინო გურიელი—არვინა ანდრიასიანი 1:0, ნინო ხურციძე—არუსიაკ გრიგორიანი 1:0, ინგა ხურცილავა—შუშანიკ აირაპეტიანი 1:0, გოჰარ ხლგატიანი—ლიუდმილა ასლანიანი 0:1.

სურათი მეორე ტურშიც განმეორდა — მეტოქენი არც ერთ პარტიაში არ დაზავებულან. ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო ფავორიტების — გურიელისა და კახიანის დუელი, რომელიც კახიანმა მოიგო. სხვა შედეგები: ანდრიასიანი დამარცხდა ხურციძესთან, გრიგორიანი — ხურცილავასთან, აირაპეტიანი — ხლგატიანთან, ლომინეიშვილი — ასლანიანთან. საქართველოსა და სომხეთის მოჭადრაკეების ამ თავისებურ მატჩში მასპინძლები დიდი უპირატესობით დაწინაურდნენ.

III ტური: გრიგორიანი—ლომინეიშვილი — გადაიდო. ხურციძე—კახიანი 1:0, ხურცილავა—ანდრიასიანი 1:0, ხლგატიანი—გრიგორიანი 1:0, ასლანიანი—აირაპეტიანი — გადაიდო. სამი ტურის შემდეგ ლიდერობენ მასპინძლები — საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, ფიდეს ოსტატი ნინო ხურციძე და ვიცეჩემპიონი ინგა ხურცილავა. მათ სამ-სამი ქულა აქვთ.

სურათზე: მიმდინარეობს [illegible] ტური

„ოქროსმაძიებელი" ექვსიდა დარჩა

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის II ტურის ბოლო დღეს უნდა გარკვეულიყო ის ექვსი გუნდი, რომლებსაც ჩემპიონობისთვის უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა. თუმცა, უკვე ცნობილი იყო ის ოთხი გუნდი, ვადამდე რომ მოიპოვეს ეს უფლება — თბილისის „ვითა", „მერანი", „დინამო" და „მართვე". დარჩენილ ორ ადგილზე პრეტენზიას აცხადებდა სამი გუნდი — რუსთავის „აზოტი", თბილისის „შევარდენი" და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ამ დღეს სტუ შეხვდა „მერანს" და დამარცხდა 88:104 (51:48), „აზოტმა" და „შევარდენმა" კი გაიმარჯვეს და პირველ ექვსეულში მათ დაიმკვიდრეს ადგილი. „ექვსთა ტურნირის" I წრე 15 მარტს დაიწყება.

ტექნიკური შედეგები

23 თებერვალი. სტუ — „სოხუმი 91" 85:70 (38:41). სამტრედია — „მერანი" 68:95 (27:58), „რიონი" — „მართვე" 84:88 (39:49), თსუ — „შევარდენი" 70:8[illegible] (34:45), „აზოტი" — „ვითა" 7[illegible]:100 (31:50).

24 თებერვალი. „რიონი" — „შევარდენი" 72:95 (3[illegible]:51), სამტრედია — „სოხუმი 91" 78:104 (42:35), თსუ — „ვითა" 74:108 (36:65), „დინამო" — „მართვე" 84:71 (38:37), „აზოტი" — „მერანი" 77:100 (32:51).

25 თებერვალი. სამტრედია — „შევარდენი" 74:104 (29:47), „აზოტი" — „სოხუმი 91" 89:77 (37:36), თსუ — „მართვე" 76:79 (32:26, 66:66), სტუ — „მერანი" 88:104 (51:48), „დინამო" — „ვითა" 69:100 (33:46).

სურათზე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და „სოხუმი 91"-ის შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა II ტურის შემდეგ

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ვითა"	20	19	1	39
„მერანი"	20	18	2	38
„დინამო"	19	15	4	34
„მართვე"	20	12	8	32
„შევარდენი"	20	11	9	31
„აზოტი"	20	10	10	30
სტუ	20	9	11	29
„რიონი"	20	6	14	26
სამტრედია	20	4	16	24
თსუ	20	3	17	23
„სოხუმი 91"	19	2	17	21

ლელა მესხი—ჯერჯერობით ორი

ლინცი. ავსტრიის ამ ქალაქში მიმდინარეობს ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარი გახლავთ. წარმატებით ასპარეზობს თბილისელი ლელა მესხი — გერმანელ კლაუდია პორვიკთან იოლი გამარჯვების შემდეგ (6:3, 6:0) მას საკმაოდ მძიმე ბრძოლა ჰქონდა ჩეხ პეტრა ლანგროვასთან. მესხმა სამ პარტიაში გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა — 7:5, 3:6, 7:5. დამაჯერებლად მიიწევს წინ კორტის მასპინძელი იუდიტ ვიზნერი, რომელმაც ბოლო შეხვედრა იტალიელ ლაურა გოლარსას მოუგო — 6:3, 6:3.

ოლიმპიური დღეები ახალგაზრდებისთვის!

მივდივართ ვალკენსვაარდში...

ეინდჰოვენიდან 15 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ვალკენსვაარდის ბაზებზე 3-9 ივლისს გაიმართება რიგით მეორე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები. ამ ასპარეზობებში საქართველოს სპორტსმენები შვიდ სახეობაში (ფეხბურთი, მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ძიუდო, ცურვა, ჩოგბურთი, საგზატკეცილო ველორბოლა) ცდიან ძალებს.

როგორ მიმდინარეობს სამზადისი, რა პრობლემები აქვთ, ვინ უწევს სპონსორობას საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის ეგიდითაც გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ოლიმპიურ დღეებზე და სხვა საკითხებზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თაოსნობით გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა სეოკის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ გუნდების მზადებას რესპუბლიკის სპორტის კომიტეტი და ფედერაციები უძღვებიან, სხვა ხარჯებს (ეკიპირება, მგზავრობა და ა. შ.) სეოკი კისრულობს სპონსორების — ეროვნული ბანკის კონცერნ „კავკასიონის“, „ინდუსტრიაბანკის“, ბინსოცმშენბანკის, „აგრომრეწვბანკის“, „ექსიმბანკის“, საავიაციო გაერთიანება „ორბისა“ და სხვათა მეოხებით. მაგალითად, „ორბი“ საკუთარი თვითმფრინავით უსასყიდლოდ მოემსახურება საქართველოს სპორტულ დელეგაციას.

საქართველო ოლიმპიურ დღეებზე 83-კაციანი დელეგაციით ჩავა. ეს ჩვენი სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯებისა და მომსახურე პერსონალის პირველი ყველაზე მასობრივი გასვლა იქნება საზღვარგარეთ.

ყაიმსაც არ „კადრულობენ“

18 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ვაჟების მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მაძიებელთა რესპუბლიკურ ასპარეზობაზე კიდევ 3 ტურის პარტიები გათამაშდა. დაწინაურდა თბილისელი გიორგი ყაჭეიშვილი, რომელიც უდანაკარგოდ მიიწევს მიზნისკენ — მას ახლა 8 ქულა აქვს. ბოლო 3 ტურში მან დაამარცხა ქუთაისელები გიორგი ტყეშელაშვილი, აკაკი სონგულია და ხობელი ზურაბ ტყებუჩავა.

VI ტურის 8 პარტიიდან თეთრებმა და შავებმა 4-4 მოგება ჩაიწერეს. შავი ფიგურებით ყაჭეიშვილის გარდა გაიმარჯვეს: დემურ სალირაშვილმა — ხვიჩა ბახტაძესთან, კახა ქორქოლიანმა (სამივე — თბილისი) — სონგულიასთან, რუსთაველმა თამაზ გელაშვილმა — თბილისელ ვიქტორ დუნდუასთან. თეთრებით წარმატებას მიაღწიეს მიხეილ მჭედლიშვილმა — მერაბ სალირაშვილთან (ორივე — თბილისი), ალექსანდრე ყამაშვილმა (ქუთაისი) — კახა კვიჟინაძესთან (ბათუმი), ტყებუჩავამ — დათო ხაჩიძესთან (თბილისი) და ვალტერ ლუბელაძემ (ზუგდიდი) — კახა კაკიშვილთან (თბილისი).

VII ტურში კვიჟინაძემ სძლია ლუბელაძეს, ხაჩიძემ — დუნდუას, ქორქოლიანმა — ტყებუჩავას, გელაშვილმა წააგო ყამაშვილთან, კაკიშვილმა — მჭედლიშვილთან, დაზავდნენ: მ. სალირაშვილი—ბახტაძე და დ. სალირაშვილი—ტყეშელაშვილი. VIII ტურის შედეგები: ლუბელაძე — მჭედლიშვილი 0:1, ბახტაძე — კაკიშვილი 0:1, ტყეშელაშვილი — მ. სალირაშვილი 0.5:0,5, სონგულია—დ. სალირაშვილი 0,5:0,5, დუნდუა—ქორქოლიანი 1:0, ყამაშვილი—ხაჩიძე 0,5:0,5, კვიჟინაძე—გელაშვილი 0:1.

გოგოების შეჯიბრებაში 3 ტურის მერე 3 ქულით ლიდერობს თბილისელი მირანდა ხორავა. მან სძლია თანაქალაქელებს ნინო მელაძეს, მაკა მდივანსა და ქუთაისელ ნათია აფხაიძეს.

პირველი ტური ორი „ქ“-ს გარეშე

ცნობილი საჭადრაკო მეცენატის ლუის რენტეროს თაოსნობით ესპანეთის ქალაქ ლინარესში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი გამოჩენილი დიდოსტატების მონაწილეობით. პირველ დღეს ავადმყოფობის გამო ვერ იასპარეზეს მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა და ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა, ამიტომაც მათი მეტოქენი, იუგოსლაველი ლიუბომირ ლიუბოევიჩი და ვასილი სალოვი (რუსეთი) მაყურებელთა შორის აღმოჩნდნენ. ჰოლანდიელმა იან ტიმანმა წააგო ინდოელ ვისვანათხან ანანდთან. ალექსეი შიროვმა (ლატვია) მოუგო ვლადიმერ კრამნიკს (რუსეთი). დაზავდნენ ბორის გელფანდი (ბელარუსი) და ევგენი ბარეევი (რუსეთი). გადაიდო გატა კამსკისა (აშშ) და არტურ იუსუპოვის (რუსეთი) პარტია. ეს ტურნირი ლიუოევიჩისთვის ძალების უკანასკნელი შემოწმებაა რობერტ ფიშერთან მომავალ შეხვედრის წინ, კასპაროვისთვის კი მზადების ერთ-ერთი ეტაპი — მას, მოგეხსენებათ, ჩემპიონის გვირგვინის შესანარჩუნებლად ძნელი მატჩი ელის შორტთან.

„წოდებით უფროსს“ აჯობეს

გალაკოვოელ დიდოსტატს სვეტლანა პრუდნიკოვას, რომელმაც მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა VI შესარჩევ (რუსეთის) ზონაში 15 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა, კოეფიციენტთა ცხრილით აჯობა ირკუტსკელმა ოსტატმა ირინა კულიშმა და მოიპოვა საზონათშორისო ტურნირის მეორე საგზური. პირველ საგზურს დაეპატრონა ჩელიაბინსკელი საერთაშორისო ოსტატი ტატიანა შუმიაკინა — 10,5 ქულა.

მსოფლიო სარბიელზე გავედით. შესაძლებლობანი?

„ლელოს“ მკითხველებმა იციან: შარშან ზაფხულს, საქართველო საწყალოსნო სახეობების საერთაშორისო ფედერაციის ფინას სრულუფლებიანი წევრი გახდა. მოგვიანებით, დეკემბერში, ევროპულ ორგანიზაციაშიც (ლენა) გაწევრიანდით. ასე რომ, ქართული სპორტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გავლენ ჩვენი წყალბურთელები, წყალში მხტომელები, მოცურავეები და სინქრონული მოცურავეები.

გვესაუბრებიან საქართველოს წყალბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნუგზარ ერაძე და ამ სახეობაში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია ზუმბულიძე.

— ფინასა და ლენაში გაწევრიანება, — თქვა ნ. ერაძემ, —ძალზე საპატიოა და, ცხადია, ბევრსაც გვავალებს. საქართველოს წყალბურთელებს პირველი სერიოზული გამოცდა მარტის ბოლოს ელით — იასპარეზებენ მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში. თასის ამ გათამაშების დასკვნითი ეტაპი წელს, 3-9 მაისს მოეწყობა ათენში. შესარჩევ ტურნირში ვიბრძოლებთ იმ ერთადერთი საგზურისთვის, რომელსაც ადრე სრულიად უმტკივნეულოდ იღებდა ყოფილი სსრ კავშირის ნაკრები, ამჯერად საგზურს ერთმანეთს შეეცილებიან ბელარუსის, უკრაინის, მოლდოვას, რსფსრ-ის, ყაზახეთისა და საქართველოს გუნდები. შეჯიბრება ფინას კონტროლით ჩაივლის, ტურნირზე მოავლენენ ერთ დელეგატს — იგივე კომისარს — და თითო ჩეხ, რუმინელ, უნგრელ მსაჯს. ტურნირში ჩვენი გუნდის მონაწილეობის შესახებ ეცნობა საერთაშორისო ფედერაციას. გამორიცხული არ არის, შეჯიბრებას თბილისმა უმასპინძლოს. მიწვეული ვართ, აგრეთვე, იუნიორთა (1973 და მოდევნო წლებში დაბადებულნი) მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართება ქაიროში. ამჯერად ბრძოლა მოგვიწევს იმ ორი ვაკანტური ადგილისთვის. ევროპას რომ გამოუყვეს. ვგეგმავთ გამოსვლას მსოფლიო უნივერსიადაზე, რომელიც წელს, 8-19 ივლისს გაიმართება ამერიკის ქალაქ ბუფალოში.

ერთი ცნობაც წყალბურთის ჩვენს გულშემატკივრებს — ფინამ წლის ასპარეზობათა კალენდარში კვლავ შეიტანა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თასზე, რომელზეც, ჩვეულებისამებრ, მსოფლიოს უძლიერეს ეროვნულ გუნდებს მოვიწვევთ.

ფინას არც წყალბურთელი ქალები დავიწყებია — მათ იტალიის ქალაქ კატანიაში იწვევს (13-18 აგვისტოს) მსოფლიო თასის გათამაშებაზე, რომლის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩვენი გუნდიც გამოვა.

გია ზუმბულიძე (დაიბადა 1958 წელს, სპორტის ოსტატია, 15 წლის მანძილზე იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას, იყო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, დინამიადების მრავალგზის გამარჯვებული, ყოფილი სსრ კავშირის I და II ნაკრები გუნდების წევრი. 1989 წელს სათავეში ჩაუდგა თავის კლუბს. წელს, მოთამაშეთა მოთხოვნით, კვლავ დააბრუნეს „დინამოს“ ხელმძღვანელად და საქართველოს ნაკრების ვარ მწვრთნელადაც დაინიშნა): დღეს საქართველოში ორად-ორი გუნდია — „დინამო“ და თსუ-ს „მესეფენი“, რომელთა ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ნაკრები. ეს, თავისთავად, არ იძლევა დიდი არჩევანის საშუალებას, რადგან ამ გუნდებსაც კი ბოლო დროს აშკარად დააკლდათ დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება, რის გამოც მათი ოსტატობა და სათამაშო კლასი საგრძნობლად დაქვეითდა. მოგეხსენებათ, სოლიდურ ტურნირებში გამოსვლა აუცილებელია, ეს კი საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება, ასე რომ, სპონსორებმა უნდა გამოგვიწოდონ დახმარების ხელი.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ, ისევ და ისევ ხელმოკლეობის გამო, ჩვენს უძლიერეს მოთამაშეებს ადვილად იბირებენ საზღვარგარეთის კლუბები. მაგალითად, გერმანიაში იწვევენ დინამოელ ირაკლი ტატიშვილს, ზვიად დავითიანი და დევი გვახარია კი უკვე ლეგიონერები არიან — პირველი იუგოსლავიაში თამაშობს, მეორე — საფრანგეთში. ნიკო ჩიქოვანი მოსკოვის „დინამოშია“, ნოდარ ჩოლარია — სანქტ-პეტერბურგის „ბალტიკაში“. ახლახან გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება. სამწუხაროდ, ვერც ამ შეჯიბრებაზე ჩავინიშნეთ ახალ მოთამაშეთა სახელები. ისევ ძველთა იმედად ვართ, ეს კი, ბუნებრივია, საფიქრალ-საზრუნავს, ისედაც რომ არ გვაკლია, გვიორკეცებს.

ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.

ინფორმაცია

ბულგარეთში, მ. პეტროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, იასპარეზეს ქართველმა ათლეტებმაც. თბილისელი ზაურ ივანაშვილი (100 კგ) ფინალურ შეხვედრას ორი ქულით უგებდა ივაილ იორდანოვს, მაგრამ მასპინძელმა ბოლო წამებზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება, დამატებით დროშიც კი გამარჯვების ქულაც მოიპოვა. ასევე მასპინძელთან, კრასნირ რადოევთან დათმო ფინალური შეხვედრა ჩოხატაურელმა მძიმეწონოსანმა ხვიჩა ქორიძემ. თბილისელი გოჩა ციციაშვილი (82) მესამე ადგილზე გავიდა. ამრიგად, ჩვენმა მოჭიდავეებმა ბულგარეთში ორი მეორე და ერთი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

რა იყო საჩქარო?

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ განიხილა ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვისა და ჩემპიონობის პრეტენდენტის ნაიჯელ შორტის მასპინძელი ქალაქების კანდიდატურები. არჩევანი მანჩესტერზე შეჩერდა. აქ მეტოქენი დაფას აგვისტოში მიუსხდებიან. ამ რვაკვირიანი საჭადრაკო მარათონის სპონსორობა იკისრეს ქალაქის ხელისუფლებმა და ადგილობრივმა აეროპორტმა, რომლებმაც ბრიტანეთის კუნძულზე პირველი ასეთი შეჯიბრებისთვის 1,34 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოძებნეს. როგორც გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, ფიდეს ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო კასპაროვმა განაცხადა, რომ მატჩის მასპინძელი ქალაქის შერჩევაში საერთაშორისო ფედერაცია აჩქარდა. „მე ვარ უცხოელი, რომელსაც ჩემპიონის ტიტულის დაცვა მომიწევს მეტოქის სამშობლოში. უფლება მქონდა მომენახულებინა მატჩის მასპინძლობის მსურველი ქალაქები და მონაწილეობა მიმეღო ორგანიზატორთა შერჩევაში. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“.

ზამთარი — მინიფეხბურთის დრო

ზამთრის სუსხიანი დღეების მიუხედავად სამტრედიაში არ ჩამკვდარა სპორტული ცხოვრება.

ახლახან აქ, „ლოკომოტივის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის (დირექტორი ი. ყურულაშვილი) თაოსნობით მოეწყო ამ სკოლის აწ განსვენებული მწვრთნელის ნ. დოლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში 1980-82 წლებში დაბადებული მოზარდებისთვის. ფინალში „ენძელამ“ აჯობა „სამგურალს“ — 4:1. (ორივე გუნდს წვრთნის ო. ლომსაძე).

აქვე მოეწყო რაიონის ტრადიციული პირველობა მინიფეხბურთში უბნებს შორის. ასპარეზობაში 12 კოლექტივი მონაწილეობდა. პირველი ადგილი დაიკავა ბაზრისუბნის გუნდმა (მწვრთნელი ვ. გარნოვსკი), რომელმაც ფინალში ანგარიშით 6:5 სძლია ნაძალადევის უბნის გუნდს.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით.

იორამ ნიკოლეიშვილი

„მართვე“, „შევარდენი“... სხვა არავინ

საქართველოს უმეტესი რეგიონებიდან ჩამოსული სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა „მართვესა“ (10) და „შევარდენის“ (7) გუნდებმა იასპარეზეს თბილისში გამართულ ზამთრის ბოლოსწინა შეჯიბრებაში რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაციის თასზე. გასაგებ მიზეზთა გამო ეს ერთგვარი სიურპრიზიც გახლდათ ზოგიერთ დისციპლინაში კი გამარჯვებისთვის მებრძოლთა რაოდენობა ბოლო წლებისთვის სარეკორდო აღმოჩნდა. ფედერაციის მთავარი პრიზები — „აბსოლუტურად საუკეთესო შედეგებისთვის“ (5-5 ათასი მანეთი) მოიპოვეს „შევარდენის“ წარმომადგენლებმა სპორტის ოსტატებმა ელმირა ურუსოვამ და იოსებ შავერდაშვილმა, პირველმა — ბირთვის კვრაში (16,46 მ), მეორემ — უროს ტყორცნაში (68,02 მ) პირველობისთვის. ერთიცა და მეორეც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის შესრულებით დაკმაყოფილდა, რაც სეზონის დასაწყისისთვის ურიგო როდია, თუმცა ეს შეჯიბრების კიდევ სამმა მონაწილემ შეძლო სხვადასხვა ვარჯიშში. ურუსოვასა და შავერდაშვილს ჯილდოები, ასე ვთქვათ, კოეფიციენტთა ცხრილმა მოაპოვებინა — მათი მაჩვენებლები უფრო „წონიანი“ აღმოჩნდა.

ორდღიან ასპარეზობაში „მართვეს“ მძლეოსნებმა საერთო ჯამში 46697 ქულა მოაგროვეს, „შევარდენის“ სპორტსმენებმა — 28526. ფაქტობრივად, რესპუბლიკაში ეს ორი სპორტსაზოგადოება დარჩა და ფედერაციას ისღა დარჩენია, თითოეულ მათგანს რამდენიმე გუნდის გამოყვანის უფლება მისცეს, რათა სპორტსმენებს და მწვრთნელებს ასპარეზობისადმი ინტერესი არ გაუნელდეთ.

გავაცნობთ სხვა გამარჯვებულებს და მათ შედეგებს:

ქალები: რბენა. 60 და 200 მ. თამარ შანიძე („მართვე“) — 7,5 და 26,1. **400 მ.** იამზე ტოგონიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მოზარდთა სპორტსკოლა) — 1. 04,7. **800 და 1500 მ.** თეა გილაშვილი — 2. 31,2 და 5. 17,7. **60 მ. თარჯრბენი.** ეკა მჭედლიძე — 9,5. **ხტომა. სიგრძეზე** — ლია მესტვირიშვილი — 521 სმ; **სიმაღლეზე** — ალიონა ტემჩინა —160. **შუბის ტყორცნა.** ია მკერვალიშვილი — 29,78. **ბადროს ტყორცნა.** მარინა ონაშვილი (ყველა — „მართვე“) — 42,94 მ.

ვაჟები. რბენა 60 და 200 მ. რუსლან მამუდოვი — 6,8 და 23,3. **400 მ.** ჯონი ჯანელიძე (ორივე — „მართვე“) — 50,3; **800 მ.** დავით სამხარაძე („შევარდენი“) — 2. 01,4, **1500 და 3000 მ.** დიმიტრი ლიკოვი — 4. 31,7 და 9. 42,3. **60 მ. თარჯრბენი.** კახა ფუტკარაძე (ორივე — „მართვე“) — 8,5.**2000 მ. წინაღობებით.** ზიგმუნდ ზილბერშტეინი — 5. 47 5. **5 კმ სპორტული სიარული.** ერმილე ურუშაძე — 23. 01,5. **ხტომა. სიმაღლეზე** — მალხაზ ალასანია — 2 მ; **სიგრძეზე და სამხტომი** — ვასილ მახარაძე — 695 სმ და 15, 39 მ. **ჭოკით** — ავთანდილ სულაბერიძე (ყველა — „შევარდენი“) — 330 სმ. **შუბის ტყორცნა.** გაბრიელ ჭარელიშვილი — 55 .მ. **ბირთვის კვრა.** მერაბ ყურაშვილი (ორივე — „მართვე“) — 17,75 მ.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები ● მსოფლიოს ფეხბურთის ამბები ● მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

მსოფლიო ჩემპიონატი

გასულ ოთხშაბათს გაიმართა მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის 3 შესარჩევი შეხვედრა ევროპის ზონაში.

I ჯგუფი. პორტუგალიის ნაკრებმა ლისაბონში უმასპინძლა იტალიის გუნდს და დამარცხდა ანგარიშით 1:3. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს რობერტო ბაჯომ, კაზირაგიმ და დინო ბაჯომ, ერთადერთი საპასუხო გოლი საკუთარ კარში მოათავსა... იტალიელთა მეკარემ პალიუკამ.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცარია	4	3	1	0	14-3	7
იტალია	4	2	2	0	7-4	6
შოტლანდია	4	1	2	1	4-3	4
პორტუგალია	3	1	1	1	2-3	3
ესტონეთი	2	0	1	1	0-6	1
მალტა	5	0	1	4	1-9	1

II ჯგუფი. ჰოლანდიელებმა შინ საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს თურქებთან — 3:1.

ნორვეგია	4	3	1	0	15-2	7
ინგლისი	3	2	1	0	11-1	5
ჰოლანდია	4	2	1	1	9-6	5
პოლონეთი	2	1	1	0	3-2	3
თურქეთი	5	1	0	4	6-12	2
სან-მარინო	4	0	0	4	1-22	0

III ჯგუფი. ესპანელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მადრიდში დიდი ანგარიშით მოუგეს ლიტვის ნაკრებს — 5:0. ბურთები გაიტანეს კრისტობალმა, ბაკერომ, ბეგირისტაინმა, კრისტიანსენმა და ალდანამ.

ესპანეთი	6	3	3	0	13-0	9
ირლანდია	4	2	2	0	6-0	6
ჩრ. ირლანდია	5	2	2	1	7-4	6
დანია	4	1	3	0	1-0	5
ლიტვა	6	1	3	2	5-10	5
ლატვია	7	0	4	3	3-13	4
ალბანეთი	6	1	1	4	3-11	3

გულშემატკივრები, ბუნებრივია, დიდ ინტერესს იჩენენ 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მიმდინარეობისადმი. რედაქციაში გამოგზავნილი წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს შარშან დაწყებულ ზონალურ შესარჩევ გათამაშებათა მსვლელობას, აფასებენ ფინალური ტურნირის სავარაუდო მონაწილეთა შესაძლებლობებს, აანალიზებენ შეხვედრათა შედეგებს და ა. შ. მაგრამ ამ წერილებიდან ისიც ჩანს, რომ ევროპის ზონის გარდა ისინი ნაკლებად იცნობენ სხვა რეგიონებში შექმნილ სადღეისო მდგომარეობას, აზიის, აფრიკის, ოკეანეთის, კონკაკაფისა და სხვა ზონების შეჯიბრებებს.

საქმე ისაა, რომ ევროპის ზონა, ე. ი. ძველი საფეხბურთო სამყარო, ჩვეულებრივ, ყურადღების ცენტრში იმყოფება ხოლმე, აქაური გუნდების შეხვედრებს დაუყოვნებლივ აშუქებს პრესა, გადასცემენ ტელევიზიით, მსოფლიოს სხვა კუთხეებიდან კი ოპერატიული ცნობები შედარებით ნაკლებად მოდის, ინფორმაცია მწირია, ამიტომაც იძულებული ვართ მარტოოდენ იმ ძუნწ ცნობებს დავჯერდეთ, რაც გაგვაჩნია.

ამჯერად შესაძლებლობა მოგვეცა გადავხედოთ სხვა ზონებსაც და გაცნობოთ, რა მდგომარეობაა დანარჩენ კონტინენტებზე.

აფრიკის ზონა

შავი კონტინენტის ფეხბურთმა ბოლო წლებში აშკარა პროგრესი განიცადა. ჯერ ერთი, სულ უფრო თვალსაჩინოა აქაური ეროვნული ნაკრებების მაჩვენებლები, მეორეც, აფრიკაში საგრძნობლად იზრდება პირველხარისხოვან ფეხბურთელთა რაოდენობა, ისინი ახლა მრავლად გამოდიან ევროპის საუკეთესო პროფესიულ კლუბებში. ამიტომაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ აფრიკას მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არა ორი, როგორც ეს უწინ იყო, არამედ სამი ადგილი დაუთმო. გთავაზობთ აფრიკის წინასწარ ჯგუფებში ჩატარებული მატჩების შედეგებს, გუნდების მდგომარეობას და დარჩენილ კალენდარს.

„ა“ ჯგუფი (აქ გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა უგანდის გუნდმა, დღემდე ჩატარებული შეხვედრების შედეგები: ალჟირი — ბურუნდი 3:1, ბურუნდი — განა 1:0, განა — ალჟირი 2:0, ბურუნდი — ალჟირი 0:0, განა — ბურუნდი 1:0.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
განა	3	2	0	1	3-1	4
ალჟირი	3	1	1	1	3-3	3
ბურუნდი	4	1	1	2	2-4	3

26 თებერვალს ერთმანეთს შეხვდნენ ალჟირი — განა.

„ბ“ ჯგუფი (უარი განაცხადა ლიბერიამ). კამერუნი — სვაზილენდი 5:0, სვაზილენდი — ზაირი 1:0, ზაირი — კამერუნი 1:2, სვაზილენდი — კამერუნი 0:0. არ შედგა ზაირისა და სვაზილენდის გუნდების მატჩი.

კამერუნი	3	2	1	0	7-1	5
სვაზილენდი	3	1	1	1	1-5	3
ზაირი	2	0	0	2	1-3	0

28 თებერვალს ერთმანეთს ხვდებიან კამერუნი — ზაირი.

„ც“ ჯგუფი (უარი განაცხადა სიერა-ლეონემ). ზიმბაბვე — ტოგო 1:0, ეგვიპტე — ანგოლა 1:0, ანგოლა — ზიმბაბვე 1:1, ტოგო — ეგვიპტე 1:4, ზიმბაბვე — ეგვიპტე 2:1. ანგოლა — ეგვიპტე 0:0, ტოგო — ზიმბაბვე 1:2, ეგვიპტე — ტოგო 3:0, ზიმბაბვე — ანგოლა 2:1.

ზიმბაბვე	5	4	1	0	8-4	9
ეგვიპტე	5	3	1	1	9-3	7
ანგოლა	4	0	2	2	2-4	2
ტოგო	4	0	0	4	2-10	0

28 თებერვალს: ეგვიპტე — ზიმბაბვე, ტოგო — ანგოლა.

„დ“ ჯგუფი (ლიბიამ, სან-ტომე და პრინსიპემ უარი განაცხადეს). ნიგერია — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 4:0, სარ — კონგო 1:0, კონგო — ნიგერია 0:1, სარ — ნიგერია 0:0, კონგო — სარ 0:1.

ნიგერია	3	2	1	0	5-0	5
სარ	4	2	1	1	2-4	5
კონგო	3	0	0	3	0-3	0

27 თებერვალს: ნიგერია — კონგო.

„ე“ ჯგუფი (უარი განაცხადა სუდანმა). კოტ დივუარი — ბოტსვანა 6:0, ნიგერი — კოტ დივუარი 0:0, ბოტსვანა — ნიგერი 0:1, ბოტსვანა — კოტ დივუარი 0:0, კოტ დივუარი — ნიგერი 1:0.

კოტ დივუარი	4	2	2	0	7-0	6
ნიგერი	3	1	1	1	1-1	3
ბოტსვანა	3	0	1	2	0-7	1

28 თებერვალს: ნიგერი — ბოტსვანა.

„ფ“ ჯგუფი (უარი განაცხადა მალავიმ). მაროკო — ეთიოპია 5:0, ტუნისი — ბენინი 5:1, ბენინი — მაროკო 0:1, ეთიოპია — ტუნისი 0:0, ტუნისი — მაროკო 1:1. ეთიოპია — ბენინი 3:1, ბენინი — ტუნისი 0:5, ეთიოპია — მაროკო 0:1, მაროკო — ბენინი 5:0, ტუნისი — ეთიოპია 3:0,

მაროკო	5	4	1	0	13-1	9
ტუნისი	5	3	2	0	14-2	8
ეთიოპია	5	1	1	3	3-10	3
ბენინი	5	0	0	5	2-19	0

28 თებერვალს: ბენინი — ეთიოპია, მაროკო — ტუნისი.

„გ“ ჯგუფი (უარი განაცხადა მავრიტანიამ). გაბონი — მოზამბიკი 3:1, მოზამბიკი — სენეგალი 0:1, გაბონი — სენეგალი 3:2, მოზამბიკი — გაბონი 1:1, სენეგალი — მოზამბიკი 6:1.

გაბონი	3	2	1	0	7-4	5
სენეგალი	3	2	0	1	9-4	4
მოზამბიკი	4	0	1	3	3-11	1

27 თებერვალს: სენეგალი — გაბონი.

„ჰ“ ჯგუფი (უარი განაცხადეს ბურკინა-ფასომ, ტანზანიამ). მადაგასკარი — ნამიბია 3:0, ნამიბია — ზამბია 0:4, მადაგასკარი — ზამბია 2:0, ნამიბია — მადაგასკარი 0:1, ზამბია — ნამიბია 4:0.

მადაგასკარი	3	3	0	0	6-0	6
ზამბია	3	2	0	1	8-2	4
ნამიბია	4	0	0	4	0-12	0

27 თებერვალს: ზამბია — მადაგასკარი.

„ი“ ჯგუფი (უარი განაცხადეს მალიმ, გამბიამ). გვინეა — კენია 4:0.

27 თებერვალს: კენია — გვინეა.

აფრიკის ზონის შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებენ ზემოჩამოთვლილ 9 საკვალიფიკაციო ჯგუფში გამარჯვებულები. მეორე ეტაპის მონაწილე 9 პრეტენდენტი წილისყრით განაწილდება 3 ჯგუფში. აქ გამარჯვებულები უშუალოდ მოიპოვებენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას.

კონკაკაფი

(ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები)

დასკვნით შეჯიბრებათა კალენდარი:

4 აპრილი. ჰონდურასი — კანადა, სალვადორი — მექსიკა

11 აპრილი. მექსიკა — ჰონდურასი, კანადა — სალვადორი

18 აპრილი. კანადა — ჰონდურასი, მექსიკა — სალვადორი

25 აპრილი. მექსიკა — კანადა, ჰონდურასი — სალვადორი

2 მაისი. ჰონდურასი — მექსიკა, სალვადორი — კანადა

9 მაისი. კანადა — მექსიკა, სალვადორი — ჰონდურასი

ტურნირში გამარჯვებული უშუალოდ გადის ფინალურ ტურნირში, ხოლო ის გუნდი, რომელიც მეორე ადგილს დაიკავებს, მონაწილეობას მიიღებს ხელახალ ტურნირში ოკეანეთის ზონის გამარჯვებულთან და სამხრეთ ამერიკის „ა“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ გუნდებთან ერთად.

სამხრეთ ამერიკის ზონა

(გათამაშების კალენდარი)

„ა“ ჯგუფი

1 აგვისტო. კოლუმბია — პარაგვაი, პერუ — არგენტინა

8 აგვისტო. პარაგვაი — არგენტინა, პერუ — კოლუმბია

15 აგვისტო. პარაგვაი — პერუ, კოლუმბია — არგენტინა

22 აგვისტო. არგენტინა — პერუ, პარაგვაი — კოლუმბია

29. აგვისტო. არგენტინა— პარაგვაი, კოლუმბია — პერუ

5 სექტემბერი. პერუ — პარაგვაი, არგენტინა — კოლუმბია

„ბ“ ჯგუფი

18 ივლისი. ვენესუელა — ბოლივია, ეკვადორი — ბრაზილია

25 ივლისი. ვენესუელა — ურუგვაი, ბოლივია — ბრაზილია

1 აგვისტო. ურუგვაი — ეკვადორი, ვენესუელა — ბრაზილია

8 აგვისტო. ბოლივია — ურუგვაი, ეკვადორი — ვენესუელა

15 აგვისტო. ურუგვაი — ბრაზილია, ბოლივია — ეკვადორი

22 აგვისტო. ბოლივია — ვენესუელა, ბრაზილია — ეკვადორი

29 აგვისტო. ურუგვაი — ვენესუელა, ბრაზილია — ბოლივია

5 სექტემბერი. ეკვადორი — ურუგვაი, ბრაზილია — ვენესუელა

12 სექტემბერი. ურუგვაი — ბოლივია, ვენესუელა — ეკვადორი

19 სექტემბერი. ბრაზილია — ურუგვაი, ეკვადორი — ბოლივია

51 წლისა, კიბოს ავადმყოფობით გარდაიცვალა გამოჩენილი ინგლისელი ფეხბურთელი, ამ ქვეყნის ნაკრებისა და „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ცნობილი მცველი და კაპიტანი ბობი მური. იგი იყო სამი მსოფლიო ჩემპიონატის (1962, 1966, 1970 წლები) მონაწილე, 1966 წელს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. 1968 წელს გახდა ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, 1964 წელს — ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი, 1966 წელს ამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი. ბობი მური დიდი სამოქმედო დიაპაზონის ფეხბურთელი და შესანიშნავი ტაქტიკოსი გახლდათ.

ლონდონის მთავარი სტადიონის „უემბლის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მზადაა მინდორი დაუთმოს გამოჩენილი ფეხბურთელის ბობი მურის ხსოვნისადმი მიძღვნილ მატჩს. ნავარაუდევია, აქ ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და დანარჩენი მსოფლიოს ვეტერანთა ნაკრები გუნდები, მატჩში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ბრაზილიელმა პელემ და გერმანელმა ფრანც ბეკენბაუერმა.

12 პლუს 4

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში, რომელიც მიუნხენში მდებარეობს, გაიმართა ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრა. ოთხ ჯგუფად დაყოფილი 14 გუნდი 30 მაის-6 ივნისს ვროცლავში გაითამაშებს ფინალური ტურნირის ოთხ საგზურს. საკვალიფიკაციო ჯგუფები დაკომპლექტდა ასე:

„ა“ ჯგუფი: ხორვატია, რუმინეთი, ესტონეთი.

„ბ“ ჯგუფი: ლიტვა, პოლონეთი, ბელარუსი.

„ც“ ჯგუფი: უკრაინა, ინგლისი, სლოვაკეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა.

„დ“ ჯგუფი: სლოვენია, ჩეხეთი, მოლდოვა, ლატვია.

როგორც ვთქვით, ოთხი უძლიერესი დაემატება ფინალური ასპარეზობის დანარჩენ თორმეტ მონაწილეს, რომლებიც 23 ივნისიდან 4 ივლისამდე გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ჯერ ჯგუფურ ტურნირებში, მერე კი გადამწყვეტ მატჩებში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს გაითამაშებენ.

„ა“ ჯგუფი (კარლსრუე): ესპანეთი, რუსეთი, შვეცია და ერთი გუნდი საკვალიფიკაციო ტურნირიდან.

„ბ“ ჯგუფი (ბერლინი): საფრანგეთი, ბულგარეთი, თურქეთი და ერთი გუნდი საკვალიფიკაციო ტურნირიდან.

„ც“ ჯგუფი (კარლსრუე). იტალია, საბერძნეთი, ისრაელი და ერთი გუნდი საკვალიფიკაციო ტურნირიდან.

„დ“ ჯგუფი (ბერლინი). იუგოსლავია, გერმანია, ბელგია და ერთი გუნდი საკვალიფიკაციო ტურნირიდან.

ბუნდესლიგა რუსის თვალით

ის, რომ ერთ რომელიმე კლუბში ძმები თამაშობენ, ფეხბურთში საკმაოდ ხშირი შემთხვევაა, მაგრამ ტყუპები? ეს უკვე იშვიათობაა. ამ ათიოდე წლის წინათ ბუნდესლიგაში გამოდიოდნენ ძმები კრემერსები. ერთმა მათგანმა რომ ხელის სერიოზული ტრავმა მიიღო, მეორე, სრულიად სალსალამათი, ექიმთან მივიდა და მოსთხოვა მისთვისაც თაბაშირში ჩაესვათ ხელი. ვერც მოსკოვის „ტორპედოში“ მოთამაშე ძმებს სავიჩევებს, წარმოედგინათ უერთმანეთოდ ცხოვრება, მაგრამ მოხდა ისე, რომ იური სეულში ოლიმპიადაზე ბრაზილიელებთან გადამწყვეტი ბურთის გატანის შემდეგ ძალზე ცნობილი გახდა ფეხბურთის სამყაროში, მისი ძმა ნიკოლოზი კი დღემდე „ტორპედოში“ გამოდის. იური სავიჩევმა ორი წელი საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში“ გაატარა, 1992 წლის ზაფხულიდან კი გერმანიის „საარბრიუკენში“ გადაინაცვლა.

რას ფიქრობს ეს ფეხბურთელი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ლიგის შესახებ? აი, რამდენიმე ნაწყვეტი იური სავიჩევის ამასწინანდელი ინტერვიუდან:

● **რა განსხვავებას ხედავთ გერმანიისა და საბერძნეთის ჩემპიონატებს შორის?**

— ფეხბურთის დონე გერმანიაში, რა თქმა უნდა, უფრო მაღალია, ამიტომ თამაშიც უფრო ძნელია და საინტერესო. საბერძნეთში ჩვენებური მწვრთნელი გვყავდა — ოლეგ ბლოხინი, პროტასოვი და ლიტოვჩენკოც იქ გამოდიოდნენ. ბუნდესლიგაშიც ბევრია რუსი ფეხბურთელი, ტელეფონით ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე. საბერძნეთში გულშემატკივრები სულ სამი გუნდის — „ოლიმპიაკოსის“, „პანათინაიკოსისა“ და აეკ-ის თამაშებზე დადიან. გერმანიაში, რა თქმა უნდა, ასე არ არის. აქ ლიდერმაც კი ძალიან უნდა იწვალოს, რომ აუტსაიდერს მოუგოს. „საარბრიუკენის“ ყოველ მატჩზე 25-30 ათასი მაყურებელი მოდის. საბერძნეთში რომ გუნდმა მარცხი განიცადოს, უმალ მწვრთნელს მოხსნიან. გერმანიაში მეტ მოთმინებას იჩენენ, გულშემატკივრებიც უფრო თავშეკავებულნი არიან. რაც შეეხება „საარბრიუკენს“, მისგან ქომაგები მხოლოდ ერთს მოითხოვენ — როგორმე ბუნდესლიგაში შეინარჩუნოს ადგილი.

● **სად უფრო ძნელია ვარჯიში?**

— დატვირთვა გერმანიაში უფრო სერიოზულია. მოთამაშეები ფიზიკური თვალსაზრისით კარგად არიან მომზადებულნი. სხვანაირად მაღალ ტემპში 90 წუთს ვერ ირბენ.

● **თქვენ „საარბრიუკენში“ კარგი მწვრთნელი გყავთ — პეტერ ნოიერი, იგი უწინ „შალკე 04“-შიც წარმატებით მუშაობდა.**

— დიახ, მან „საარბრიუკენი“ მეორე ბუნდესლიგიდან პირველში გადაიყვანა.

● **და გუნდის თამაშიც „აწყო“?**

— ყოველ შემთხვევაში, ეს შეიძლება ითქვას დაცვაზე. ჩვენ ისე კარგად გვაქვს დამუშავებული ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა, რომ ამას წინათ ბრემენის „ვერდერის“ ფეხბურთელები ათჯერ მაინც „გამოვიჭირეთ“ ამ ფანდით.

● **საინტერესოა, ფრანც ბეკენბაუერი ესწრება ვ. შტეფან ბეკენბაუერის თამაშე.**

— ხშირად კი ესწრება, ოღონდ შვილთან არა აქვს მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა. შეხვდებიან ერთმანეთს, ცოტას ილაპარაკებენ და მორჩა. ეს იმის შედეგია, რაც ფრანცი გაეყარა შტეფანის დედას და სხვა ცოლი შეირთო. შვილზე ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა. ისე კი შტეფანი სიმპათიური, მორიდებული ყმაწვილია და თავმდაბლად იქცევა, არასოდეს იფიქრებ, რომ ასეთი სახელოვანი მამის შვილია.

მოამზადა ვივი თორაძემ.

ვიქტორ კორჩნოი

ბოროტმოქმედის ჩანაწერები

სასჯელი

ნოემბრის ბოლო რიცხვებში მატჩი დამთავრდა. კარპოვმა გაიმარჯვა — 3:2 (ცხრამეტი პარტია ყაიმით დამთავრდა). ახლა საჭირო იყო პოლიტიკური ამოცანის მეორე, უფრო იოლი ნაწილის გადაწყვეტა — ჩემი საგანგებო დასჯა, ისე, რომ სხვებსაც ჭკუა ესწავლათ. მაგრამ რისთვის უნდა დავესაჯეთ? დამოუკიდებლად აზროვნებისა და ქცევისათვის! უფრო კონკრეტულად კი იმიტომ, რომ ამ მატჩში ვიბრძოდი მაშინ, როდესაც ნათელი იყო, რაც უნდა მომხდარიყო. აი, რა მითხრა ჟურნალისტმა ხენკინმა: „რომ გცოდნოდა, როგორი ადამიანები რეკავდნენ პრეს-ცენტრში, უნდოდათ გაეგოთ, როგორი პოზიცია ჰქონდა კარპოვს!"

რახან ჩემი დასჯა გადაწყვიტეს, მიზეზის გამონახვა ყოველთვის შეიძლებოდა. დასჯის ოფიციალური მიზეზი გახდა ინტერვიუ, რომელიც მე იუგოსლავიის სააგენტო ტანიუგის ჟურნალისტ კაჟიჩს მივეცი. მე ვთქვი, რომ თუ ტალანტის მიხედვით ვიმსჯელებთ, კარპოვი არ აღემატება მოჭადრაკეებს, რომლებიც ამ ციკლში დაამარცხა. სამაგიეროდ, მე ხაზი გავუსვი მის უდიდეს ნებელობით თვისებებს, ყველა ფაქტორის თავის სასარგებლოდ გამოყენების უნარს. კაჟიჩმა შეარბილა ჩემი მონათხრობი, არ უხსენებია ჩემი განცხადება მატჩის მსვლელობის დროს, არც კარპოვის უზრდელი საქციელი აღუნიშნავს. მაგრამ რაც დაიბეჭდა, ისიც საკმარისი იყო.

ჯერ „სოვეტსკი სპორტში" ზნეობის დამცველ პეტროსიანის რეპლიკა გამოქვეყნდა სათაურით „ვ. კორჩნოის ერთი ინტერვიუს გამო". შემდეგ იმავე გაზეთის ფურცლებზე საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა გაკიცხა ჩემი საქციელი. ერთი კვირის შემდეგ კი მრავალრიცხოვანი მშრომელების მრისხანე წერილები დაიბეჭდა ასეთი სათაურით: „ეს არასპორტულია, დიდოსტატო!" ისინი „ერთსულოვნად" მოითხოვდნენ, რომ მე ჭადრაკის ყველა გულშემატკივრისთვის ბოდიში მომეხადა. მალე ბინაზე ანონიმური წერილების გამოგზავნაც დაიწყეს...

მოსკოვში გამომიძახეს, რათა გამსწორებოდნენ. მოსახდენის მოხდენა რომ რამდენადმე გადამედო, პეტროსიანს მივბაძე და სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კლინიკაში დავწექი — კუჭის წყლულის გამწვავება მოვიმიზეზე, თუმცა ჯანმრთელი ვიყავი. ერთი თვის შემდეგ მაინც მომიხდა გამგზავრება.

სამხედრო-სამედიცინო აკადემიასთან ისტორიას თავისი გაგრძელებაც აქვს: რამდენიმე წლის შემდეგ იქ დაწვა ჩემი ვაჟი იგორი, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა წყლული. მოგვიანებით, როცა ჩემი ოჯახი დასავლეთში გამგზავრებისათვის იბრძოდა, რათა ერთად გვეცხოვრა, ხელისუფლებმა იგორის ჯარში წასვლა მოითხოვეს, იმის დასამტკიცებლად, რომ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისია, იგორმა აკადემიიდან თავისი კუჭის რენტგენული სურათი მოითხოვა. გამოუგზავნეს, მაგრამ მისი კი არა — ჩემი!

ჩემი დასავლეთში წასვლის შემდეგ ოჯახს ფინანსური სიძნელეები დაეწყო. ძაღლი გვყავდა. მისი ლეკვები ძვირად ფასობდნენ. ჩემმა ცოლმა მყიდველიც მონახა, რომელმაც ფული გადაიხადა და ლეკვი წაიყვანა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ამ კაცმა ლეკვი დააბრუნა: „მოგვეცით ჩვენი ფული — ჩვენ არ გვინდა ხალხის მტერთან რაიმე ურთიერთობა გვქონდესო". სად ნახავთ, დედამიწის რომელ მხარეში პარტიისა და ხალხის ესოდენ ერთიანობას ადამიანების დევნაში?!

ვითარება მძიმე იყო. მიტევდნენ საზოგადოებრივი და სპორტული „განხრით", უნდოდათ პარტიული ხაზითაც დავემუშავებინეთ. დავუჯერე იმ მცირერიცხოვან მეგობრებს, რომლებიც ჯერ კიდევ დამრჩნენ და ვ. ვასილიევთან თანამშრომლობით „სოვეტსკი სპორტში" პატარა საბოდიშო წერილი დავწერე. მთავარმა რედაქტორმა მისი პუბლიკაციისათვის საყვედური მიიღო... იგონებს საჭადრაკო ლიტერატორი ვიქტორ ვასილიევი:

„ამ წერილმა საქმეს ვერ უშველა. პირიქით, გაამწვავა სიტუაცია. იმედი გვქონდა, რომ წერილი, ისე, რომ კორჩნოის ღირსება არ შეელახა, ხელისუფლების რეპრესიებს შეასუსტებდა. მე უკვე ხუთ ათეულ წელს გადავაბიჯე და ესოდენი გულუბრყვილობა არ მეპატიებოდა. სპორტკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე სერგეი პავლოვი, როგორც ამბობდნენ, განრისხდა — მას კორჩნოის თვითგვემა სჭირდებოდა, მკერდში ხელის ცემით, მიწამდე თავის დაკვრით. ჩვენს მიერ შედგენილ „წერილში რედაქციისადმი" კი ნათქვამი იყო: „მალე, ა. კარპოვთან მატჩის დამთავრების შემდეგ, მე მივეცი ინტერვიუ, რომელიც იუგოსლავიურ პრესაში გამოქვეყნდა. იმ მომენტში მე ჯერ კიდევ ბრძოლის აზარტში ვიყავი, რომელიც ორნახევარი თვის განმავლობაში დაძაბულობის გამო მქონდა. უფრო სწორად, ამით აიხსნებოდა ის გამომწვევი ტონი და ზოგიერთი მოსაზრების მეტისმეტი სუბიექტივიზმი, რასაც ახლა, როცა წყნარ პირობებში ყველაფერი მოვიფიქრე, გულწრფელად ვნანობ.

ვ. კორჩნოი, საერთაშორისო დიდოსტატი".

უფრო გვიანდელი „წერილი რედაქციისადმი" შემოვინახე, რომელიც კორჩნოიმ 1975 წლის 3 მარტს „სოვეტსკი სპორტის" სტენოგრაფისტ ქალს უკარნახა:

„ჟურნალ „იუნოსტის" პირველ ნომერში გაკვირვებულმა წავიკითხე, რომ მის მეორე ნომერში გამოქვეყნდება ჩემი პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც ა. კარპოვის შესახებ დამისვეს. ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორი ა. როშალი ამასწინათ შემხვდა, მაგრამ მას ჩემთვის არავითარი კითხვები არ მოუცია. უფრო სახტად დავრჩი, როცა ჟურნალის მეორე ნომერი ვნახე. იქ დაბეჭდილი იყო ჩემი „მონოლოგი", რომელიც როშალმა მატჩის დამთავრებისთანავე დაწერა. მაშინ როშალმა თქვა, რომ ამ მასალას აპნ-ში გამოაქვეყნებდა. ფხიანმა ჟურნალისტმა ეს მასალა აპნ-საც გადასცა, „პოლიტიკასაც" (ბელგრადი) და „ლიტერატურნაია გაზეტასაც".

როგორც ცნობილია, ჩემი მოსაზრებები საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ დაგმო. როშალმა ეს კარგად იცოდა. მას უფლება არა ჰქონდა გამოექვეყნებინა, რაც იმ დროიდან დარჩა... ჩემთან შეუთანხმებლად, ისე, რომ არც კი შემატყობინა, მან გამოაქვეყნა მასალა, რომელზეც მე საჯაროდ უარი ვთქვი.

ვიქტორ ლევის ძემ თავის წერილს, რომელიც, რა თქმა უნდა, გაზეთმა არ დაბეჭდა, დაარქვა: „დარტყმა წელს ქვევით!" ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ეწოდებინა: „წაქცეულის ცემა სირცხვილია!" თუმცა რისი უნდა რცხვენოდეს კაცს, რომელსაც კორჩნოიმ თავის წიგნში „ანტიჭადრაკი", „პროფესიონალური მატყუარა". უწოდა?!"

მე დასჯის ოფიციალურ საბაბზე მოგიყვებით. ამავე დროს კარპოვმა, რომელიც თავისი ყველაზე უფრო ერთგული გულშემატკივრების — სამხედროების წინაშე გამოდიოდა, განმარტა, რომ მე ინტერვიუს გამო კი არ დავუსჯივართ, არამედ მატჩის მსვლელობის დროს გაკეთებული განცხადებისათვის.

1975 წლის 20 იანვარს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ჭადრაკის კურატორ ვ. ივონინის კაბინეტში მე წამიკითხეს კომიტეტის ბრძანება. „არასწორი მოქმედებისათვის", როგორც ბრძანებაში იყო აღნიშნული, მეკრძალებოდა ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და დიდოსტატის სტიპენდიაც მიმცირდებოდა (სამასი მანეთიდან ორასამდე).

ლენინგრადში დავბრუნდი. საბჭოთა პროვინციის დედაქალაქი, როგორც „პეტრეს ქალაქს" ერთმა ჩემმა მეგობარმა ენამოსწრებულად შეარქვა, ამ დროს მთელ ქვეყანაში ყველაზე უფრო რეაქციული ადგილი იყო. თუ იქ, მაღლა, მოსკოვში, ადამიანს ბოლომდე არ ანადგურებდნენ, ლენინგრადში აუცილებლად ასწორებდნენ ამ შეცდომას. ტელევიზიამ უარი თქვა ჭადრაკში ჩემს პოპულარულ ლექციებზე. ჩემი ბინა მოსმენას ექვემდებარებოდა. მე უკვე აღარ ვიღებდი საზღვარგარეთის ფოსტას — ინგლისურ და იუგოსლავიურ საჭადრაკო ჟურნალებს. ზევიდან ვრცელდებოდა ხმები, თითქოს მე განცხადება დავწერე ისრაელში წასასვლელად. ამის გამო ჩემს ვაჟს სკოლაში არაკეთილმოსურნედ ექცეოდნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში არ მაძლევდნენ სეანსებითა და ლექციებით გამოსვლის საშუალებას. შემდეგ საქალაქო კომიტეტში ხელი ჩაიქნიეს: მაგრამ დროგამოშვებით თავიანთ ხალხს აგზავნიდნენ ხოლმე იმის მოსასმენად, თუ რას ვლაპარაკობდი. დამიწყეს დასამუშავებლად ქალაქკომში გამოძახება. ეს უკვე მეტისმეტი იყო.

ჯერ კიდევ 1974 წლის დეკემბრის ბოლოს, როგორც მოჭადრაკეს, თავი რომ მეხსნა, საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე. ქალაქკომში დამუშავებამ მაჩვენა, რომ ადამიანებს ვერაფერს სასარგებლოს ველარ გავუკეთებდი, როცა 1975 წლის მარტში ესტონელებმა მიმიწვიეს ტალინის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, სპორტკომიტეტმა მიწვევა აკრძალა, კერესსა და ნეის კი მიუთითეს. ამით კიდევ ერთხელ ვიგრძენი: რაც მალე წავალ, მით უკეთესი იქნება! მაგრამ როგორ?

დავწერო განცხადება საცხოვრებლად ისრაელში წასვლის შესახებ? გოლგოთაზე ავიდე?! მაგრამ ვინ მომცემს წასვლის ნებართვას?! იუგოსლავიაში მოვითხოვო გადასახლება? მე დავწერე კიდეც წერილი ტიტოს სახელზე, რომელიც ჭადრაკის დიდ მფარველად ითვლებოდა, ჩემთვის შემწეობა გაეწია. მაგრამ წერილი არ გამიგზავნია...

საბედნიეროდ, ჩემს ყოფაზე კარპოვმა იფიქრა. იგი ფიშერთან შეხვედრის გარეშე გახდა მსოფლიო ჩემპიონი და ხალხმა დაიწყო იმის დავიწყება, რომ მისი მსხვერპლები — სპასკი და კორჩნოი, იდევნებოდნენ.

ა. კარპოვი იგონებს: „პეტროსიანი არ დაკმაყოფილდა ჩვენს მატჩში კორჩნოის დამარცხებით. მას კორჩნოის სისხლი სწყუროდა და ყველგან დევნიდა. თავის კავშირებს იყენებდა, პრესის საშუალებით ესხმოდა თავს, ოფიციალური არხებით ახრჩობდა... კორჩნოის ყველა ცდას, რაიმე დაეპირისპირებინა გაზეთების თავდასხმისათვის და ბიუროკრატიული ბლოკადა გაერღვია, შედეგი არ მოჰყოლია — პეტროსიანს მთელ დაფაზე პრესინგი ჰქონდა. მაშინ კორჩნოიმ დახმარებისთვის მე მომმართა". (კარპოვის წიგნიდან „ჩემი და — კაისა". ნიუ-იორკი, 1990).

იგორ აკიმოვის კომენტარი („ჩემი და — კაისას" ლიტერატურული ჩანაწერის ავტორი):

„მოხდა ისე, რომ მე ამ ისტორიაში შუამავლის როლი ვითამაშე. კორჩნოისთანაც მეგობრული ურთიერთობა მქონდა და კარპოვთანაც, ამიტომ დევნილმა დიდოსტატმა გადაწყვიტა ამის გამოყენება... ჩემი საუბარი კარპოვთან ძნელი გამოდგა. მას არ უნდოდა ამ ისტორიაში ჩარევა... მაგრამ შეუპოვრობა გამოვიჩინე... მაშინ მან ჩემი თანდასწრებით ბატურინსკის (საკავშირო სპორტკომიტეტის საჭადრაკო განყოფილების უფროსი — რედ.) დაურეკა და უთხრა:

— ეს-ეს არის ვნახე კორჩნოისთვის მორიგი საგაზეთო „წერტყმა". დროა ეს კამპანია დამთავრდეს, რადგან იგი გამომდინარეობს არა იმდენად კორჩნოის ძველი ესკაპადებიდან, რამდენადაც მისი მტრების ამბიციებიდან.

— რას ამბობ, — წამოიძახა ბატურინსკიმ, — განა არ იცი, რომ თუკი კორჩნოის თავის წამოყოფის საშუალება მიეცა...

— მე ვფიქრობ, ვიქტორ დავითის ძევ, ჩემი აზრი ნათლად გამოვთქვი: იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ეს კამპანია შემდეგშიაც გაგრძელდეს.

და ყურმილი დაკიდა.

— რა ვქნათ? ვიკითხე. მე ვთვლიდი, რომ ამ ეტაპზე არაფერი გამოგვივიდა.

— არაფერი არ უნდა ვქნათ, — მიპასუხა კარპოვმა. იმიტომ, რომ ყველაფერი უკვე გაკეთებულია".

კარპოვმა გადადგა ნაბიჯები ჩემს მწყობრში დასაბრუნებლად. მე ნება მომეცა მეთამაშა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, შემდეგ კი 1975-76 წლების გასაყართან, ჰასტინგსში.

და მაინც, მე არ გადამიფიქრებია. ვკვეცავდი ჩემს კავშირურთიერთობებს საბჭოთა კავშირში. ბ. ტუროვი ამზადებდა წიგნს „საჭადრაკო შემოქმედების მარგალიტები" და მთხოვა ერთ-ერთი ჩემი საუკეთესო პარტია მიმეცა კომენტარებით. მე ვუთხარი, ჩემი ნაშრომი შენს წიგნს არ დაამშვენებს მეთქი და პარტია არ მიმიცია.

ვიქტორ ვასილიევს ჩემი ბიოგრაფიის დაწერა უნდოდა. მე მას ვაგრძნობინე, რომ ასეთი წიგნის დაწერისთვის მადლობას არავინ ეტყოდა. საკავშირო სპორტკომიტეტის საჭადრაკო განყოფილების უფროს ვ. ბატურინსკის შეკითხვაზე, ვისთან ერთად მოვემზადებოდი მსოფლიო პირველობის მომდევნო ციკლისთვის, არცკი მიპასუხია — არ მინდოდა ადამიანები დარტყმის ქვეშ დამეყენებინა.

ჩემი ოჯახის წევრებისთვისაც არ მითქვამს, რის გაკეთებას ვაპირებდი, მხოლოდ გადაკრულად ვეუბნებოდი. შვილს ვესაუბრებოდი ჩემი ცხოვრების ზოგიერთ მხარეზე, რომელსაც იგი არ იცნობდა, იმ ფუნქციებს ვასრულებდი, რომელიც ჩემი აზრით, მამამ შვილის მიმართ უნდა შეასრულოს. ცოლი მსუბუქ ავტოკატასტროფაში მოყვა. საჭირო იყო ჩვენი მანქანის შეკეთება. ცოლს შესთავაზეს გაეყიდა მანქანა იმ ფასად, რამდენიც ახლა ღირდა. უფრო ძვირადაც კი. ამაოდ ვეხვეწებოდი დათანხმებოდა. მოგვიანებით მას დიდი პრობლემები გაუჩნდა, რადგან მანქანა ჩემს სახელზე იყო გაფორმებული, მე კი ვერაფრით ვერ ვახერხებდი საზღვარგარეთიდან მინდობილობის გამოგზავნას.

მე ინგლისში არ დავრჩენილვარ, მაგრამ საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ფოტოსურათები, წიგნები გადავიტანე და ისინი დასავლეთ ევროპაში დავტოვე. 1976 წლის ივლისში ჰოლანდიაში წავედი ტურნირზე და თან გავიყოლე ძვირფასი ბარგი. კვლავ დავბრუნდებოდი საბჭოთა კავშირში ნივთების წასაღებად, მაგრამ „ფრანს პრესს", ჩემი ჩვეულებრივი სტილით მივეცი ინტერვიუ. მე მოვყევი, რატომ ითამაშა სპასკიმ მარცხიანად ის-ის იყო დამთავრებულ მანილის საზონათშორისო ტურნირში — რამდენი ჭირის გადატანა მოუხდა, სანამ გასამგზავრებელ ვიზას მიიღებდა! მე საბჭოთა ხელისუფლები იმის გამოც გავლანძღე, რომ ისრაელში გამართულ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. როცა ეს ინტერვიუ გამოქვეყნებული ვნახე, მივხვდი, რა მელოდა საბჭოთა კავშირში და ჰოლანდიელ ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი ვთხოვე...

ხირომანტებმა ჩემს ხელზე არაჩვეულებრივი ხაზები აღმოაჩინეს. უპირველეს ყოვლისა, არ დგინდება ჩემი ბედის ხაზი, რაც იმას ნიშნავს, რომ მე ვითარებებს არ ვემორჩილები. მეორე — ცხოვრების ხაზი მკვეთრად იყოფა ორ ნახევრად... თუ საბჭოთა კავშირში საიდუმლო სამსახურებს შეინარჩუნებენ — სამხედროს, დაზვერვითს და ა. შ. იმათ, ვინც თავისთან სამსახურში უკვე მიიღეს — პარაფსიქოლოგები, ვურჩევდი საქმისათვის სასარგებლოდ ხირომანტებიც მიიზიდონ, რათა დროზე გამოავლინონ ის, ვისაც შემდგომში შეიძლება „ბოროტმოქმედის" მეტსახელი შეერქვას.

პუბლიკაცია მოამზადა ბიჭი ბამრეკელმა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო", № 3, 4, 5, 12.

ვლადიმერ ზანიერი



კიდევ ერთი გულისხმიერი, ფუტკარივით მშრომელი კაცი გამოაკლდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას — გარდაიცვალა ამაგდარი სპეციალისტი, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, დამსახურებული მწვრთნელი, სახალხო განათლების წარჩინებული, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვლადიმერ ზანიერი. იგი ათეული წლების მანძილზე დაუღალავად საქმიანობდა ხაშურის რაიონში, არჩევდა ნიჭიერ მოზარდებს, ასწავლიდა, წვრთნიდა, მძლეოსნობის სიყვარულს უნერგავდა მათ.

ზანიერის სკოლა გაიარა ასობით გოგო-ბიჭმა — მორბენალმა, მხტომელმა, მტყორცნელმა, რომელთაგან ბევრმა მოსწავლე-მძლეოსანთა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებში დაიმკვიდრა ადგილი, მათგან საუკეთესონი კი მოზრდილთა ნაკრებებშიც მიიწევდნენ და წარმატებით იცავდნენ საქართველოს ღირსებას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. მაგალითად თუნდაც ნათელა ლაბაძეც კმარა, რომლის მიღწევა ბადროს ტყორცნაში დღესაც უცვლელია საქართველოს რეკორდების ცხრილში.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე, შეგირდებზე, სამშობლოზე შეყვარებული გულმართალი ადამიანი, რომლის ხსოვნა მარად დარჩება მისი აღზრდილებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.

ვინმების ფასი

რას არ გამოთვლიან სპორტის სტატისტიკოსები! თურმე ნუ იტყვით, განთქმულ ჩოგბურთელ ჯონ მაკინროუს 1977 წლიდან დღემდე 70 ათას დოლარზე მეტი აქვს გადახდილი ჯარიმის სახით კორტზე სკანდალური საქციელისთვის. თითქმის ყოველ შეჯიბრებაში მაკინროუ ისჯებოდა მსაჯებთან კამათისა ან მეტოქეების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

ყველაზე დიდი ჯარიმა — 10 ათასი დოლარი — მაკინროუმ გადაიხადა უიმბლდონის 1991 წლის ტურნირში.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე გაზეთის ყოფილ თანამშრომელს, ჟურნალისტ თენგიზ პაჭკორიას სოხუმის დაბომბვის შედეგად მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო.

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის დიდი დიღმის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „ჩაუქი" სამძიმარს უცხადებს ამავე კლუბის გამგეობის წევრს შენრი ყარაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380008, მ. კოსტავას, 14. ☎ ტელ: 99-86-47, 98-94-98. ინდექსი 60436 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.